

თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი (ITI)

საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ორგანიზაცია



იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის (ITI) საქართველოს ცენტრი ულოცავს ცეკვის, მოძრაობის, ფიზიკურ თეატრში დაკავებულ ყველა ხელოვანს, ვინც ანვითარებს საშემსრულებლო ხელოვნებას როგორც საქართველოში ასევე მის საზღვრებს გარეთ.

წელს ცეკვის საერთაშორისო დღეს გვილოცავს ცნობილი ამერიკელი ქორეოგრაფი და მოცეკვავე **ტრიშა ბრაუნი**, რომელიც გზავნილის ტექსტის ავტორი უნდა ყოფილიყო ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მაგრამ იგი მარტის თვეში გარდაიცვალა. სიმბოლურია, ის გვილოცავს ყველას, მისი სიტყვები, წერტილები აგრძელებენ ცეკვას ჩვენს ცნობიერებაში, მისი ცეკვა გადავიდა კიბერ უკვდავებაში, თავად კი შეუერთდა უსასრულობას.

ყველას გისურვებთ შემოქმედებით წარმატებას და ხანგრძლივ ნაყოფიერ სიცოცხლეს!!!

დავით საყვარელიძე იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის (ITI) საქართველოს ცენტრის პრეზიდენტი

ლევან ხეთაგური იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის (ITI) საქართველოს ცენტრის გენერალური მდივანი

2017 წლის ცეკვის საერთაშორისო დღის გზავნილის ავტორი გახლავთ ტრიშა ბრაუნი

თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი მოხარულია გაცნობოთ, რომ **ლემი ფონიფასიოს**(სამოა და ახალი ზელანდია), **ისრაელ გალვანის** (ესპანეთი), **მურად მერზუკის** (საფრანგეთი), **ლინ ჰვაი-მინის** (ჩინური ტაიპეი) და **სიდი ლარბი შერკაუის**(ბელგია) კვალდაკვალ, მოცეკვავე, ქორეოგრაფი და „ტრიშა ბრაუნის კომპანიის“ სამხატვრო ხელმძღვანელი - **ტრიშა ბრაუნი** (აშშ) გვევლინება წელს ცეკვის საერთაშორისო დღის ავტორად.

ამ დღის დაარსებიდან, 1982 წლიდან, ცეკვის საერთაშორისო დღე აღნიშნება ყოველწლიურად, 29 აპრილს, თანამედროვე ბალეტის შექმნელის **ჟან-ჟორჟ ნოვერის** დაბადების დღეზე. ეს დღე გვაძლევს შესაძლებლობას, რომ პატივი მივაგოთ ცეკვას და მის უნივერსალურ ბუნებას, რომელიც გადაკვეთს ყველა პოლიტიკურ, კულტურულ, თუ ეთნიკურ ბარიერს.

თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი ყოველწლიურად აღნიშნავს ამ გლობალურ მოვლენას და იწვევს გამოჩენილ ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, იმისათვის რომ მათ დაწერონ ამ დღის მესიჯი.

თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის (ITI) მიზანია, ასევე ხელი შეუწყოს ცეკვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ აქტივობებს/ღონისძიებებს, ნაციონალურ და მსოფლიო დონეზე.

ცეკვის საერთაშორისო დღის ვებ-გვერდზე - ([www.international-dance-day.org](http://www.international-dance-day.org)), ამ დღესთან დაკავშირებით, თქვენ შეგიძლიათ იხილოთ მსოფლიო რუკაზე დატანილი ღონისძიებები: სპეციალური ცეკვის დაჯილდოვების ცერემონიალები, საქველმოქმედო წარმოდგენები, კონფერენციები, შეხვედრები მოცეკვავეებთან და სხვა მრავალი ცეკვსათან დაკავშირებული აქტივობა.


თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი აღნიშნავს ცეკვის საერთაშორისო დღეს 2017, შანხაიში, 27 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით.

ამ დღესთან დაკავშირებული ყველა ღონისძიებადა ასევე ცეკვის საერთაშორისო დღის მესიჯის თარგმანები, თქვენ შეგიძლიათ იხილოთ ITI-ის ვებ-გვერდზე.

## ტრიშა ბრაუნის ბიოგრაფია

ტრიშა ბრაუნი (სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი) დაიბადა და გაიზარდა ებერდინში, ვაშინგტონში. მან დაამთავრა მილსის კოლეჯი, კალიფორნიაში, 1958 წელს, მანამ სანამ საცხოვრებლად გადავიდოდა ნიუ იორკში, 1961 წელს. იგი ყოველთვის ხედავდა თავის თავს ჯადოსნის ცეკვის თეატრის პოსტ-მოდერნულ ფენომენად.

ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ტრიშა აკეთებდა თავის პირველ აღმოჩენებს მოძრაობაში და პოულობდა საკვირველს ყოველდღიურ ცხოვრებაში. იმ დროში არსებული ცეკვის ნორმების გამოწვევით, მისი მსგავსი არტისტების კვალად, ბრაუნმაც დაარღვია ქორეოგრაფიის ლიმიტები და სამუდამოდ შეცვლა თანამედროვე ცეკვა.



1970 წელს, ბრაუნმა ჩამოაყალიბა საკუთარი კომპანია და გარემოთი შთაგონებულმა დაიწყო ისეთ პროდუქციებზე მუშაობა, როგორებიც გახლდათ: „შენობის გვერდებზე გასეირნება“ (Walking Down the Side of a Building) (1970), და „სახურავის ნატეხი“ (Roof Piece) (1971). ეს ის პერიოდია, როდესაც მან დაიწყო თანამშრომლობა რობერტ როშენბერგთან (Robert Rauschenberg). 1980-იან წლებში მან შექმნა ბევრი ინოვაციური პროდუქტი, როგორიც არის ახლა უკვე კულტად ქცეული „Set and Reset“ (1983), ლორი ანდერსონის ორიგინალური მუსიკითა და რობერტ როშენბერგის დიზაინით. ამით დასრულდა ტრიშა ბრაუნის პირველი სრული ციკლი ნამუშევრებისა, რომელსაც ეწოდა არასტაბილური მოლეკულური სტრუქტურები.

ეს ციკლი განასახიერებდა მის ჯერ კიდევ არაპროგნოზირებად გეომეტრიულ სტილს, რომელიც დარჩა ტრიშას ნამუშევრების განმასხვავებელ ნიშნად.

ამის შემდეგ ბრაუნმა დაიწყო დაუნდობელი სპორტული სერია, რითაც უბიძგებდა თავის მოცეკვავეებს გადაელახათ ფიზიკური ლიმიტები და შეესწავლათ სპეციალური გენდერული მოძრაობები. მისი შემდეგი ნამუშევარი იყო ელეგანტური და იდუმალი/მისტიკური - „Back to Zero Cycle“, სადაც იგი ვირტუოზულად იკვლევდა არაცნობიერ მოძრაობებს.

ბრაუნმა ბოლოჯერ ითანამშრომლა რომენბერგთან, როდესაც მათ შექმნეს - „ If you couldn't see me“ (1994), სადაც იგი მთელი წარმოდგენის განმავლობაში ზურგიტაცკვავდა მაყურებელთან.

მიუხედავად იმისა, რომ ტრიმა ყოველთვის ექსპერიმენტების მოტრფიალე იყო, მის ყურადღების ცენტრში კლასიკური მუსიკა და საოპერო სპექტაკლებიც აღმოჩნდა, ეს წამოწყება ცნობილია როგორც მისი მუსიკალური ციკლი. ტრიმა ბრაუნის ქორეოგრაფიული დადგმა ბახის მუსიკაზე, შეფასდა როგორც შედეგრი ნიუ იორკ თაიმსის მიერ. ამის შემდეგ იგი უფრო ჩაიძირა საოპერო ხელოვნებაში და დადგა მრავალი მაღალი ხარისხის საოპერო სპექტაკლი.

ბრაუნი მუდამ ახალი გამოწვევების სადარაჯოზე იდგა. მან დაიწყო ახალი ტექნოლოგიების შესწავლა და იაპონელ არტისტთან და რობოტების დიზაინერთან(Kenjiro Okazaki) ერთად მახვილგონივრული და დახვეწილი - “მე მიევარს ჩემი რობოტები“ (2007) შექმნა. ტრიმა ბრაუნმა უკანასკნელნამუშევარზე- “I'm going to toss my arms- if you catch them they're yours”(2011), ვიზუალური ხელოვნების წარმომადგენელ ბარტ ბარისთან (Burt Barr)ერთად იმუშავა. მათი ნამუშევარი კი ინდუსტრიულ ჯგუფებში ახლაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

გარდა იმისა, რომ იგი იყო ნაყოფიერი ქორეოგრაფი, ასევე გახლდათ ვიზუალური არტისტიც, რისი მაგალითიც არის მისი ნამუშევარი - „It's a Draw“ (2002). მისი ნახატები გამოფენილი იყო გამოფენებზე, გალერეებში და მუზეუმებში მთელიმსოფლიოს მასშტაბით.

1961 წლიდან ტრიმა ბრაუნმა შექმნა 100-მდე ქორეოგრაფიული ნამუშევარი, და იყო პირველიქორეოგრაფი ქალი, რომელმაც მიიღო MacArthur-ის ფონდის ნანატრი ჯილდო - “Genius Award.” ამის გარდა, მას მინიჭებული ჰქონდა სხვა მრავალი ჯილდო, მათ შორის ტრიმა ბრაუნს ხუთგზის მიანიჭეს ეროვნული პრემია ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის. 1988 წელს, საფრანგეთის მთავრობამ გადასცა საპატიო ჯილდო/ორდენი, რომელიც უტოლდება Commandeur-ის წოდებას. პრეზიდენტ ბილ კლინტონის მიწვევით, 1994-1997 წლებში, იგი იყო ხელოვნების ეროვნული საბჭოს წევრი. 2003 წელს ტრიმა დაჯილდოვდა ხელოვნების ეროვნული მედლით(National Medal of Arts). მას აქვს მიღებული მრავალი საპატიო დოქტორის წოდება, იყო წევრი ამერიკის ხელოვნების აკადემიისა.

2011 წელს მიენიჭა დოროთი და ლილიან გიშის საპატიო პრიზი იმ განსაკუთრებული წვლილისთვის, რომელიც მან შეიტანა მსოფლიოს გალამაზების საქმეში და კაცობრიობისათვის სიამოვნების მინიჭებაში.

**2017 წლის ცეკვის საერთაშორისო დღის გზავნილი**

მე გავხდი მოცეკვავეჩემი სურვილის გამო - მეფრინა. გრავიტაციის გადალახვის სურვილი ყოველთვის იყო ის რაც მამოძრავებდა. ჩემს ცეკვებში არ არის დაფარული აზრი. იქ არის სულიერი სავარჯიშოები ფიზიკურ ფორმაში. ცეკვას აქვს შეტყობინების გადაცემის უნარი, მას შეუძლია გააფართოოს კომუნიკაციის უნივერსალური ენა, დაბადოს სიხარული, სილამაზე და გააუმჯობესოს ადამიანის ცოდნა. ცეკვა არის შემოქმედება.. ისევ და ისევ.. აზროვნებაში, კეთებაში, შექმნაში და შესრულებაში.

ჩვენი სხეული არის ინსტრუმენტი გამოხატვისთვის და არა მედიუმი რეპრეზენტაციისთვის. ეს მოსაზრება თავისუფლებას აძლევს ჩვენს შემოქმედებას, რომელიც არის არსებითი გაკვეთილი და საჩუქარი იმ ადამიანებისთვის რომლებიც ქმნიან ხელოვნებას.

ხელოვანის ცხოვრება და შემოქმედება არ მთავრდება ასაკში შესვლასთან ერთად, როგორც ეს ზოგიერთ კრიტიკოსს სჯერა. ცეკვა იქმნება ადამიანებისგან, ადამიანებისგან და იდეებისგან. რაც შეეხება აუდიტორიას, თქვენ მათგან შეგიძლით მიიღოთ შემოქმედებითი იმპულსი და შემდეგ გამოიყენოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

*\* ეს გზავნილი ეძღვნება იმ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ ცეკვა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს წერილი ასევე ეძღვნება ტრიშა ბრაუნსაც, რომელიც გარდაიცვალა 2017 წლის 18 მარტს. ამ გზავნილში შევიტანეთ მისი მოსაზრებები ცეკვაზე, რომლებიც ჩვენ ერთად შევკრიბეთ მისი წერილობითი ნაშრომებიდან, სუზან როზენბერგთან ახლო თანამშრომლობით. ეს მესიჯი იზიარებს მის ხედვას და იმ ღირებულებებს, რომლის ერთგულიც იყო ტრიშა ბრაუნი.*

თარგმნა ანუკი კვინიკაძემ